

ქ.თბილისი

30.05.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდუზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სხდომაზე დამწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები:

ლაშა მაგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფი სამსახურის უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ვაჟა ვარდიძე - რექტორი;

ნათია შეყილაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

ნინო წიქვაძე - ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი;

ეკატერინე ნაცვლიშვილი - პროფესორი;
ლაშა მიქაძე - ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის ასისტენტი;
დიმიტრი გეგენავა - პროფესორი;
თამთა მიქაბერიძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
მერაბ ხოხობია
ნიკა კიკნაძე

მოწვეული, დამოუკიდებელი ექსპერტები:
ეკა დევიძე
ნიკოლოზ ყაველაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:11 საათზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა, ამავე მუხლის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგასაგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განაგანათლების საფეხური		ბაკალავრი
მისამისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით		ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს ჰკითხა იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დასკვნას იცნობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე საბჭოს ესწრებოდა ორი მოწვეული ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში 2019 წლის 29 მარტს განხორციელდა ვიზიტი ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად. 2018 წელს საბჭოს ერთიანი გადაწყვეტილებით აღნიშნულ პროგრამას მიენიჭა 1 წლიანი პირობითი აკრედიტაცია, რის შემდეგაც ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, რამაც შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით უკეთეს საფეხურზე აიყვანა პროგრამა. მაგალითად საბაკალავრო პროექტის კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 6-დან 10 კრედიტამდე, დაზუსტდა შუალედური შეფასების კომპონენტები, ზოგადი მოდიფიცირება გაუკეთდა ზოგიერთ სასწავლო კურსს, როგორიცაა მაგალითად „კალკულუსი 1“, „კალკულუსი 2“ და სხვა. ასევე, გარკვეული ცვლილებები განხორციელდა კურსში „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“. გადაიხედა სწავლის შედეგები და შეფასების კომპონენტები. ცვლილებები განხორციელდა საკონტაქტო საათებში და შეიცვალა

გარკვეული კურსები, „საგადასახადო საქმე“ და „საგადახადო საქმის საფუძვლები“ გადავიდა სპეციალობის სავალდებულო კურსებში. პროგრამა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და შესაბამისი გარემოთი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო 20 აკადემიური პერსონალი: 6 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტი, ხოლო მოწვეული 22 პერსონალი. ვიზიტმა მთლიანობაში მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა, დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

რეკომენდებულია:

1. შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმი, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტს საშუალება მიეცემა პროგრამაში შემავალი კურსების დიფერენცირება კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის გამოყოფილი დრო, რომელიც საკონტაქტო საათებში არის გათვალისწინებული
3. სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა. შეფასების პროცესში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ჩართულობის მექანიზმები, თუნდაც „ერასმუსის“ გაცვლითი პროგრამის კუთხით. თუმცა, შემდეგ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოჩნდა, რომ გარკვეული ბარიერები არსებობს, მათ შორის ენობრივი სირთულეები. შესაბამისად, რეკომენდაცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის კონკრეტულად საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას და არა უნივერსიტეტის შიდა პროექტებში, რომლებიც დაწესებულებაში ვიზიტის დროსაც დაფიქსირდა.
4. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე გადაიხედოს, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგები და დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა შესაბამისი არგუმენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ექსპერტთა დამსახურება. რეკომენდაციებიდან გამოჩნდა, რომ ძირითადად იყო ტექნიკური ხასიათის შენიშვნები და არ ეხებოდა კურსის შინაარსობრივ მხარეს, რითაც პროგრამამ მთლიანობაში მოწონება დაიმსახურა. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა რამდენიმე გარემოება: უნივერსიტეტის ბაზაზე კრედიტების მინიჭების მექანიზმი შეიმუშავეს, პრაქტიკაში მუშაობდა და გამოცდილი იყო აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით. ნებისმიერი კურსის ხელმძღვანელს, კურსის სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეეძლო განესაზღვრა კურსის კრედიტების რაოდენობა, გარკვეული კრიტერიუმების გათვალისწინებით. რაც შეეხებოდა საგამოცდო საათების გათვალისწინებას საკონტაქტო საათებში, განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით შუალედური და ფინალური გამოცდების საათები უფრო მეტად შეესაბამებოდა საკონტაქტო საათების ცნებას. ექსპერტების მხრიდან შემოთავაზებული იყო, რომ არსებული პრაქტიკა შეეცვალათ და საგამოცდო საათები გადაეტანათ ინდივიდუალურ საათებში, თუმცა ამ რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველს უნივერსიტეტი ვერ ხედავს. მითუმეტეს, რომ ამ 5 საათის საკონტაქტო ან/და ინდივიდუალურ საათებში გათვალისწინება კურსებში ზოგადად არ აისახება და კრედიტების მინიჭებაზე საბოლოოდ არ ახდენდა გავლენას. რაც შეეხებოდა შემდეგ

რეკომენდაციას, სტუდენტების საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის მოტივაციასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ სტუდენტები ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ასევე, ლოკალურ პროექტებში, მათ შორის საერთაშორისო მობილობაში, კონფერენციებში. პრაქტიკულად შესაძლებელი იყო დაედასტურებინათ, რომ ინსტიტუციაში არსებობდა კონკურსი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, ასევე გაზრდილი მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტს, რომ დაეზუსტებინათ ინფორმაცია მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესახებ, რადგან ინსტიტუციის წარმომადგენელმა ვრცლად წარმოადგინა, რომ ჰქონდათ საკმაოდ კარგი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის სახით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იმ დროისათვის არ ჰქონდათ ამის შესახებ ინფორმაცია თუ ინტერვიუთი არ დასტურდებოდა?

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ლევან ხოხობაიამ აღნიშნა, რომ პროგრამას გააჩნდა რესურსი. სტუდენტები იყვნენ ჩართული პროექტებში, თუმცა ექსპერტთა აზრით, საჭირო იყო უფრო მეტი რაოდენობის ჩართვა. ინტერვიუთი გამოჩნდა, რომ ენობრივი ბარიერები არსებობდა, რაც ძირითადად იწვევდა ჩართულობის დაბალ დონეს, თუმცა სტუდენტები ამაში ინსტიტუციას არ ადანაშაულებდნენ. ეს რეკომენდაციაც სწორედ ამას შეეხებოდა, რომ გამოესწორებინათ და მეტი სტუდენტი ჩართულიყო იმ პროგრამებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც გადახედა საგანთა ნუსხას, იქ ნამდვილად იყო წარმოდგენილი უცხო ენები და აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად დაწესებულება თუ რა ღონისძიებებს მიმართავდა. თავად სპეციალობიდან გამომდინარე ინგლისურ ენას ერთ-ერთი წარმმართველი ადგილი ეკავა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენის კომპონენტი არ იყო ასე მკაფიოდ წარმოჩენილი. სტუდენტებში ძალიან დაბალი უცხო ენის კომპონენტია არა მხოლოდ ამ ინსტიტუციის, არამედ ყველა უნივერსიტეტის პრობლემას წარმოადგენდა. უნივერსიტეტმა დანერგა ახალი მექანიზმები, პროცესი მიმდინარეობდა. წინათ ნებისმიერი დონით ჩარიცხულ სტუდენტს ინგლისური ენა 4 სემესტრი უნდა ესწავლა. ამჟამად ტარდება ე. წ. placement ტესტი და არ აქვს მნიშვნელობა უცხოენის რა კომპეტენციის მქონე სტუდენტი ჩაირიცხება პროგრამაზე, ის პროგრამას ამთავრებს B2.2 დონით. რაც ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს კიდევ ორ სემესტრიან სწავლებას. გარდა ამისა, პროგრამაში შეტანილ იქნა პროფესიული უცხო ენა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ B1 და B2 დონეებზე ატარებდა ე. წ. native speaker ლექციებს, რამაც საგრძნობლად გაზარდა სტუდენტების მონაცემები. დაწესებულებას აქვს მიმდინარე „ერასმუსისა“ და დამატებით სხვა პროგრამები. ასევე, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი არ იყო სტატიკური პროცესი და თუ რეკომენდაციებში დაზუსტდებოდა გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა შეაჯამა ზემოაღნიშნული საკითხი და დააზუსტა ინფორმაცია, რომ „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამის კურსდამთავრებული სავალდებულო წესით უნდა ფლობდეს B2.2 დონეს

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა და დაამატა, რომ B2.2 დონის გარდა უნდა გააჩნდეს დარგობრივი ინგლისური ენის კომპონენტი. საბჭოს წევრმა, ხათუნა

თოდადემ იკითხა უცხო ენაში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პროგრამაზე სტუდენტის მისაღებად გათვალისწინებული ჰქონდათ თუ არა ბარიერი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეროვნულ გამოცდებზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრით ხელმძღვანელობდნენ.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდადემ ურჩია, რომ პროგრამაზე მისაღებად უცხო ენაში დაეწესებინათ შედარებით მაღალი ზღვარი.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციის დადებით მხარეს და აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იქნებოდა დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა. განაცხადა, რომ 60-80 ქულის ბარიერის დაწესების შემთხვევაშიც კი ეროვნული გამოცდების ტესტის ფორმატი არ იძლეოდა საშუალებას, რომ სტუდენტებს უცხო ენა დაეძლიათ. ერთდერთი რამაც გაამართლა იყო უცხოელი ლექტორის ფაქტორი, რადგან სტუდენტები ქართველ ლექტორებთან სათანადოდ ვერ იხსნებოდნენ. არსებული მდგომარეობით არამხოლოდ წერით კომპონენტში, არამედ ენის ოთხივე კომპონენტში ბარდებოდა გამოცდა და ფასდებოდა მათი მიხედვით, შესაბამისად ენის ცოდნის დონეც მაღალი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კანონმდებლობის მიხედვით არსებობდა მხოლოდ ორი ტიპის საათი: საკონტაქტო და ინდივიდუალური. თუ კი საკონტაქტო საათში არ ითვლებოდა საგამოცდო საათი, მაშინ ინდივიდუალური საათების დეფინიციაშიც არ ჯდებოდა. ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებიდან გამომდინარე საგამოცდო საათები შეტანილ იქნა საკონტაქტო საათებში, ხოლო ცვლილების შემთხვევაში საჭირო გახდებოდა არსებულ ყველა პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა სტუდენტების საერთაშორისო პროგრამაში ჩართულობის შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული ჰქონდა, რომ საჭირო იყო აქტივობების ზრდა. ხოლო საკონტაქტო საათების შესახებ განმარტა, რომ ეს იყო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისათვის განსაზღვრული დრო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინისტრის ბრძანების შესაბამისად საგამოცდო დრო არ განეკუთვნება დამოუკიდებელი სამუშაოსათვის განკუთვნილ დროს. შესაბამისად, დამოუკიდებელ საათში გადატანის შემთხვევაში კანონმდებლობა ირღვეოდა და მთლიანი მიდგომა იცვლებოდა.

საბჭოს წევრი, ირაკლი ბურდული დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებას. განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ალტერნატივაც არ არსებობდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს არ შეეძლო რაიმე მოსაზრების გამოთქმა და ახალი პრაქტიკის შეთავაზება, ამიტომ იყო ეს საათები მითითებული ყოველთვის საკონტაქტო საათებში. ასეთი ინტერპრეტაცია ექსპერტების მხრიდან კი პირველი იყო.

მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ კანონმდებლობით საგამოცდო საათი ითვლებოდა საკონტაქტო საათად, საკონტაქტო საათად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო სამუშაო, როდესაც სტუდენტი ასრულებდა წერით დავალებას ინდივიდუალურად.

სილაბუსების უმრავლესობაში მითითებული „წერითი გამოცდა“, ტარდებოდა უნივერსიტეტის ბაზაზე. შესაბამისად ეს გადიოდა საკონტაქტო საათების დეფინიციაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტება გააკეთა ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა სწავლების მეთოდების დაზუსტებასა და შეფასების კრიტერიუმების დაკონკრეტებას. კარგი იქნებოდა, რომ მითითებული ყოფილიყო კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსები იგულისხმება, რადგან კურსების აბსოლუტურ უმრავლესობაში გაწერილი იყო კრიტერიუმები განსხვავებული შინაარსისა და კონტექსტის მიხედვით. რაც შეეხებოდა მეთოდოლოგიას, იგი დეტალურად იყო გაწერილი და შეესაბამებოდა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია და განაცხადა, რომ ინსტიტუციამ იხელმძღვანელა კანონმდებლობით. ასევე, განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებულ ბრძანებაში სწავლების მეთოდების ჩამონათვალი დეტალური იყო. შესაბამისად, ეს იყო ტექნიკის საკითხი, სილაბუსი ისედაც ვრცელი დოკუმენტი იყო და მეთოდების დაკონკრეტება დაწესებულებას გაუჭირდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია ზოგადი ხასიათის იყო, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 2.6 ქვესტანდარტში დაკონკრეტებული იყო, თუ რომელი სილაბუსები იგულისხმებოდა. თუმცა კურსის სტუდენტებისთვის, აღქმადობის თვალსაზრისით, უკეთესი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო სასწავლო კვირის განმავლობაში სწავლების რომელი მეთოდით ხელმძღვანელობდა კურსის ხელმძღვანელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ იმოქმედა კანონმდებლობის სრული დაცვით. შესაბამისად გამოიყენეს უფლება აღეწერათ მხოლოდ ფაქტები და არა პოზიცია. რადგან კანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ ფაქტობრივი უზუსტობები უნდა აღწერილიყო. შემდეგ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებულ აკრედიტებულ პროგრამებზე სხვადასხვანაირად ხდებოდა კრედიტების მინიჭება. ინგლისურენოვან პროგრამაზე ჰქონდათ 3,5 კრედიტიც კი. არსებობდა კრედიტების შეფასების ერთიანი, ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორს უნდა მიენიჭებინა კურსისათვის კრედიტების გარკვეული რაოდენობა, რა თქმა უნდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. დაწესებულების აზრით აკადემიური თავისუფლების საკითხებიდან გამომდინარე ლექტორებს თავად უნდა დაედგინათ საკუთარი საგნის კრედიტების რაოდენობა. ხოლო, თუ ექსპერტები რომელიმე კონკრეტულ საგანს მიუთითებდნენ იმ შემთხვევაში მოხდებოდა საკითხის შესწავლა და გადახედვა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით დამატებით განაცხადა, რომ თუ რომელ საგნებში იცვლებოდა კრედიტების რაოდენობა, მაშინ იცვლებოდა საკონტაქტო საათების რაოდენობაც.

მოწვეულმა ექსპერტმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეფასება ძალიან სუბიექტური იყო, რომ სტუდენტებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს აზრი. თუმცა ეს ბუნებრივიც, იყო, რომ მათი ნაწილი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში, ნაწილი არა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ: წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიხატა, რომ განხილული და სრულად იყო გამოყენებული შრომის ბაზრის მოთხოვნები. ქართული ენა იყო სწავლების ენა, თუმცა ინგლისური ენის კომპონენტებით გაჯერებული. ამას ადასტურებდა ის, რომ სამი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა ინგლისური ენა. B2.1-ის შემდეგ შემოტანილი იყო დარგობრივი ინგლისური.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის უკეთ აღქმადობისთვის უკეთესი იქნებოდა თუ დაწესებულება გამოიყენებდა მოდულებს, მაგალითად მარკეტინგი, ფინანსები და ა.შ. რაც შეიძლება განხორციელებულიყო არჩევითი კურსების ხარჯზე, ხოლო არჩევითი საგნები, მაგალითად აუდიტი, კორპორაციული ფინანსები, ძალიან ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი და უკეთესი იქნებოდა მეტად მენეჯმენტის კუთხით თუ გადაეწყობოდა და არა ფინანსების. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის ელემენტს, სასურველია, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს სტუდენტთა აქტიურობა და ჩართულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს პრაქტიკის თაობაზე, თუ სად გადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკას. ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტებსაც ჰქონდათ რჩევა დამსაქმებლებთან დაკავშირებით და თუ ამაზეც გაამახვილებენ ყურადღებას კარგი იქნებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამა იძლეოდა მაქსიმალურ შესაძლებლობას სტუდენტების პრაქტიკისათვის. სტუდენტების მოთხოვნით, მიმდინარე წელს, კიდევ დაემატათ პარტნიორები. როდესაც ამის შეფასება გააკეთა ინსტიტუციამ შეისწავლეს დამსაქმებლები არამარტო პრაქტიკის ობიექტები, არამედ ისეთი კომპანიები, სადაც მუშაობდნენ პროგრამის კურსდამთავრებულები მათ შორის ისეთებიც, რომლებთანაც არ ყოფილა გაფორმებული მემორანდუმი. დამსაქმებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები აეყვანათ სტაჟირებებზე და შემდეგ გაეფორმებინათ მემორანდუმები. (კონკრეტული კომპანიები: ფინკა ბანკი, სახელმწიფო ხაზინა, გიფერი, კრაკენი და ა.შ.)

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა საბაკალავრო პროექტის შესახებ, როდის ჰქონდათ საბაკალავრო თემის არჩევის შესაძლებლობა სტუდენტს, როდის იწყებდნენ მუშაობას და როგორ ხდებოდა მისი შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროექტი განსხვავდებოდა საბაკალავრო ნაშრომისაგან და ის ჩვეულებრივ ბოლო სემესტრში შეთავაზებული სასწავლო კურსი იყო. შესაბამისად, სტუდენტი სემესტრის დაწყებისთანავე ირჩევდა მიმართულებას. შეფასება ხდებოდა 70/30 თანაფარდობით, რომელიც მოიცავდა შუალედური შეფასებასა და საბოლოო შეფასებას. 70 ქულით აფასებდა ხელმძღვანელი და 30 ქულით ფასდებოდა საჯარო დაცვა. სტუდენტები თემატიკას თვითონ ირჩევდნენ, ხელმძღვანელებს ეძლეოდათ გარკვეული მიმართულებები და შემდეგ იქიდან ირჩევდნენ. თუმცა ხდებოდა თემის დაკონკრეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ რა იყო ბოლო რჩევის საფუძველი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში იყო მითითებული კრედიტების მინიჭების საკითხი მათი აზრით თუ ხარისხის სამსახურს ექნებოდა კონკრეტული მექანიზმი გაწერილი რომელ საგანს რა კრედიტების რაოდენობა უნდა მიენიჭოს და რის მიხედვით, ეს

პროცესი ბევრად გამჭვირვალე იქნებოდა. რადგან ხარისხის სამსახურს უნდა შეესრულებინა მოდერაციის როლი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაამატა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის გასაზრდელად ჰყავდათ შესაბამისი სამსახური. უნივერსიტეტში მიმდინარეობდა არამართო ინსტიტუციის პროფესორების, არამედ სხვა უნივერსიტეტის პროფესორების გადამზადებაც. თუმცა იმ ფაქტს, რომ პროფესორი ირჩევდა, თუ რამდენი კრედიტი უნდა მინიჭებოდა მის საგანს ამას ვერ შეცვლიდნენ. თუმცა, კონკრეტული საგნები თუ იქნება ჩამოთვლილი, შესაძლებელი იქნება პროფესორებთან ამ საკითხზე მუშაობა. უფრო თვლადი და გაზომვადი კრიტერიუმებით თუ იქნება მოცემული, ინსტიტუცია მზადა იყო იმის შესასრულებლად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, განაცხადა, რომ მათთვის გასაგები იყო დაწესებულების პოზიცია და უკეთესი იქნებოდა თუ დაწესებულება ერთგვარი კრიტერიუმებით გაწერდა კრედიტების მინიჭების პროცედურას.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ სილაბუსის შედგენას შინაარსის განსაზღვრის თავისი წესი ჰქონდა, რომელსაც პროფესორი კურსის შედგენისას თავად განსაზღვრავდა. მასალის რაოდენობისა და სირთულის მიხედვით საჭირო საათების რაოდენობა ტრანსფორმირდებოდა და კონვერტირდებოდა კრედიტებში. ხარისხის სამსახურს ამის განსაზღვრის წესი, რომ შეემუშავებინა იქნება საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტებს, რომ თუ მაგალითად კონკრეტულ სილაბუსს ან სახელმძღვანელოს მოიყვანდნენ შეიძლებოდა ამის განხილვა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ბურდულმა დაამატა, რომ კრედიტების განაწილების შესახებ დოკუმენტი შეიძლება ყოფილიყო უნიფიცირებული შეიძლება არ. შეიძლება ეარსება კიდეც სხვა განსხვავებულ კრიტერიუმებს რეგულირებად პროფესიებში. თუმცა, ორივე შემთხვევაში შინაარსობრივი მხარე ხელშეუხებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ კიდეც რამეს დამატება.

საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 16:58 საათზე.

სხდომა განახლდა: 17:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნეს ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

რეკომენდაციები:

1. სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა;

2. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე გადაიხედოს, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგები და დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები;
3. ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის:

საგანმანათლებლო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“

საფეხური - ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0203)

მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დაიხურა 17:14 საათზე.

თავმჯდომარე:

ქეთევან ქოქრაშვილი



მდივანი:

ლევან გორდეზიანი

